MES 4 21 0000371816

19/04/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 02.04.2020
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:10სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში - აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
8. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
10. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
11. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
13. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
15. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
16. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
17. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
18. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I

2.	თამარ ლომინაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.	I
3.	ქეთევან კოტეტიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სიტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
4.	დავით ნატროშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მათემატიკის დეპარტამენტის უფროსი პროფესორი	I
5	სერგო ხარიბეგაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	მამუკა თავხელიძე	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი	II
7	მიხეილ გოგატიშვილი	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	ხელოვნება, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი	II
8	მოგელი შენგელია	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
9	გიორგი ევგენიძე	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი	III
10	მინდია მინდიაშვილი	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
11	დიმიტრი გეგენავა	შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ვიცე - რექტორი	IV
12	ლიანა გიორგაძე	შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
13	გიორგი გორაძე	შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
14	ნინო წიქვაძე	შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	IV
15	ნინო ქათამაძე		ხარისხის უზრუნველყოფის	IV

		შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	სამსახურის სპეციალისტი	

აკრედიტაციის ექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გიორგი დალაქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თინათინ დავითაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მაკა ლაშხია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	თინათინ ბოჭორიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	თეონა კუპრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ნინო დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;
4. შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ”საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;
4. შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ”საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	პროგრამა აკრედიტებულია 28.09.2012, № 475 გადაწყვეტილებით.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	მათემატიკა, 0541
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სასწავლო კორპუსი N 6, მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და დავით კაპანაძემ პირველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გიორგი დალაქიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით 2020 წლის 25 ნოემბერს, წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე, მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და არსებული რეალური ვითარების ურთიერთშესაბამისობის დადგენა. გიორგი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი წარიმართა მშვიდ, საქმიან და კოლეგიალურ გარემოში.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა -შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

2.6. კომპონენტთან მიმართებით

რეკომენდირებულია გადაიხედოს „კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი“. შემდგომ, სასწავლო კურსის, „თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი“ კრედიტების რაოდენობა აღნიშნულ წესთან სრულ შესაბამისობაში მოვიდეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რჩევები:

1. პროგრამის მიზნები ამომწურავად არის ჩამოყალიბებული, აღნიშნულია მიღებული ცოდნის გამოყენების სფეროებიც. ამიტომ წინადადება (იხ. თვითშეფასება, 1.1 სტანდარტის მეორე აბზაცის ბოლო) „პროგრამა განუვითარებს მიღებული ცოდნის გამოყენების უნარებს ფუნდამენტურ, საინჟინრო, ეკონომიკურ და სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით დარგში“ შეიძლება საერთოდ ამოღებულ იქნეს ან გადატანილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილში (სტანდარტი 1.2).
2. სასურველია კონცენტრაციის შესახებ ინფერმაცია ასახული იყოს კონცენტრაციის დასახელებაში.
3. სასურველია სასწავლო კურსში „პრაქტიკის კურსი მათემატიკაში“ დაემატოს შეფასების დამატებითი კრიტერიუმები და შემცირდეს შეფასების სკალირებული ქულის კოეფიციენტი, რაც შეამცირებს შეფასების ქულათა სხვაობას და სტუდენტს საშუალებას მისცემს უფრო ზუსტი და ადექვატური შეფასება მიიღოს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი დალაქიშვილმა ასევე მიმოხილვა გააკეთა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საუკეთესო პრაქტიკასთან მიმართებით და აღნიშნა, რომ პროგრამა ფუნდამენტურის გარდა მოიცავდა გამოყენებითი დარგის სასწავლო კურსებსაც, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების საფუძველს წარმოადგენდა. პროგრამის ფართო სპექტრი განპირობებული და უზრუნველყოფილი იყო მათემატიკის დეპარტამენტის გამორჩეულად მაღალი რანგის აკადემიური პერსონალით. მან დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალი დაკავშირებული იყო უნივერსიტეტთან კონტრაქტებით, რომელთა განახლება ყოველწლიურად ხდებოდა და არ ეფუძნებოდა მხოლოდ ჩატარებულ სალექციო საათებს. მან აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი, თავის მხრივ, პროგრამის მდგრადობის საფუძველს ქმნიდა. გიორგი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკის“ ქართულ ენაზე დაწერილი სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფა ხდებოდა საზღვარგარეთ გამოცემული უახლესი სახელმძღვანელოების ბაზაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექპერტებს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და განმარტება გააკეთა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნა, რომსსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილების თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესები მოყვანილი იყო არსებულ კანონმდებლობასთნ შესაბამისობაში და განთავსებული იყო სტუ-ს ვებ-გვერდზე. დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ მომზადდა მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

განახლებული პროექტი, მაგრამ უნივერსიტეტმა თავი შეიკავა რეკომენდაციის რეჟიმში მყოფი საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელებისგან, ტექნიკური და კოლექტიური უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, მან დამატებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მზადყოფნას გამოთქვამდა და ხელახალი აკრედიტაციის დასრულებისთანავე დაამტკიცებდა მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული რედაქციას. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებდა სტანდარტის „2.6 კომპონენტთან“ მიმართებით შემუშავებულ რეკომენდაციას. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ექსპერტთა ჯგუფის პოზიციები სრულ თანხვედრაში იყო საკითხთან მიმართებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას დეტალურად ჰქონდა წარმოდგენილი სად იყვნენ დასაქმებულები პროგრამის კურსდამთავრებულები, თუმცა მან დამატებით აღნიშნა, რომ 51 კურსდამთავრებულიდან მხოლოდ 15 კურსდამთავრებულის დასაქმება პროფესიით ძალიან დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენდა. შესაბამისად დაინტერესდა, გეგმავდა თუ არა უნივერსიტეტი ამ მიმართულებით გარკვეული ცვლილებების განხორციელებას. გიორგი ღაღანიძემ გაანცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა შრომის ბაზრის მეტად დეტალური ანალიზის გაკეთება. გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას დეტალურად ჰქონდა წარმოდგენილი პროგრამის შემოსავლები და ხარჯები, თუმცა, მან დამატებით აღნიშნა, რომ იკვეთებოდა ხარვეზები და სიტყვების ფორმულირება შესწორებას საჭიროებდა. საბჭოს წევრმა ასვე აღნიშნა, რომ იგი დეტალურად გაეცნო ფაკულტეტის ბიუჯეტს და განაცხადა, რომ საკმაოდ დიდ სხვაობას იძლეოდა ფაკულტეტის შემოსავალი და ხარჯები, გიორგი ღაღანიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს არსებობდა თუ არა ფაკულტეტზე ბევრი წამგებიანი დოტაციური სპეციალობები.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, პრაქტიკის კურსის კვლევითი კომპონენტის ნაწილთან მიმართებით და დაინტერესდა აღნიშნული ხორციელდებოდა გარე პარტნიორის ბაზაზე თუ ინფორმატიკის ინსტიტუტის ფარგლებში. ასევე ელენე ჟურავლოვა დაინტერესდა თუ როგორ ეხმარებოდა აღნიშნული სტუდენტს დასაქმებაში.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავდა საკმაოდ ძლიერი აკადემიური პერსონალი და მოუწოდა დაწესებულებას განემარტა თუ რა იგეგმებოდა კონცეტრაციებისა და სწავლის შედეგებთან დაკავშრებით და ასევე განიხილავდა თუ არა დაწესებულება ახალი კონცენტრაციების დამატებას, რადგან რესურსი პროგრამის ფარგლებში ნამდვილად არსებობდა. საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა ექსპერტებს ესაუბრათ სამაგისტრო ნაშრომების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე ჯიშკარიანმა დააზუსტა 2.2 ქვესტანდრტთან მიმართებით არსებული რჩევა და აღნიშნა, რომ თავად დასკვნის ტექსტში არსებობდა ჩანაწერი, სადაც მოცემული იყო, რომ სტუდენტი ეცნობოდა კონცეტრაციაში შემავალი საგნების სილაბუსებს და ისე ირჩევდა კონცეტრაციას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა იყო თუ არა პროგრამაში ასახული კონცეტრაციის სწავლის შედეგები.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, წარმატება უსურვა დაწესებულებას პროგრამის განხორციელებაში და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, პროგრამაში გათვალისწინებული კონცეტრაცები მიმართული იყო

თეორიული ცოდნის მიცემისკენ თუ მასში გათვალისწინებული იყო პრაქტიკული კომპონენტები. საბჭოს წევრმა ასვე აღნიშნა, რომ სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებლი საკმაოდ დაბალი იყო და დაინტერესდა თუ რა მიზეზით იყო აღნიშნული გამოწვეული.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა მისცა ექსპერტთა ჯგუფს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი დალაქიშვილმა კონცეტრაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში კონცეტრაციების სწავლების შედეგები ასახული იყო. კონცეტრაციებთან დაკავშირებით შენიშვნა გამოიწვია ნუმერაციამ, რადგან უმჯობესი იქნებოდა პროგრამაში მოცემული ყოფილიყო სათაურები, თუმცა მან დამატებით აღნიშნა, რომ სტუდენტები ეცნობოდნენ კონცეტრაცებში მოცემულ საგანთა სილაბუსებს და შემდეგ ირჩევდნენ სასურველ კონცეტრაციას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თინათინ დავითაშილმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართულნი იყვნენ მაღალი რანგის როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული პერსონალი. მან ასევე ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ნაშრომები იყოს საკმაოდ მაღალი სამეცნიერო ხარისხის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანმა, თამარ ლომინაძემ ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ ფაკულტეტს ნამდვილად გააჩნდა მაღალი შემოსავალი, თუმცა ბიუჯეტის ფორმა ნამდვილად საჭიროებდა დახვეწას. ფაკულტეტის შემოსავალი გადანაწილებული იყო პროგრამებისა და ლაბორატორიების განვითარებაზე, ასევე სამეცნიერო კვლევების დაფინანსებაზე. მან დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მომგებიანი იყო და ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა გარკვეული პროგრამები, რომლებიც იმ დროსათვის ფინანსური მოგების შედეგზე არ გადიოდა, თუმცა დაწესებულების მოსაზრებით არსებობდა დიდი პესპექტივა იმისა, რომ აღნიშნულ პროგრამებზე სტუდენტების მხრიდან იქნებოდა ძალიან დიდი მოთხოვნა, მან დამატებით განაცხადა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თითოეული პროგრამის განხორციელება მიზნად ისახავდა ფაკულტეტის განვითარებას და ფინანსურ მდგრადობას.
თამარ ლომინაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მუდმივად ჰქონდა დამსაქმებლებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა, თუმცა არსებობდა გარკვეული საკითხები, რომლის უნივერსიტეტის დონეზე უზრუნველყოფა შეუძლებელი იყო. დაწესებულება აქტიურად ცდილობდა ჰქონოდა მჭიდრო თანამშრომლობა დამსაქმებელთან და თავის მხრივ უზრუნველყოფდა საჭირო კადრების მომზადებას. თამარ ლომინაძემ კურსდამთავრებულების დასაქმების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის კურდამთავრებულები დასაქმებულნი იყვნენ სხვადსხვა სასწავლო, სამეცნიერო თუ კვლევით დაწესებულებებში, სადაც ისინი წარმატებით ახორციელებდნენ თავიანთ საქმიანობას.

დაწესებულების ინფორმატიკისა და მართვის სიტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან კოტეტიშვილმა ისაუბრა მაგისტრანტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით, კერძოდ, 2019 წელს გამოცხადებული იყო 20 სტუდენტის მიღება, თუმცა შემოსული იყო 27 განაცხადი. მან დამატებით აღნიშნა, რომ სტუდენტების მიღება ხდებოდა არა მარტო ეროვნული გამოცდების, არამედ, შიდა გამოცდის

საფუძველზეც. შიდა გამოცდა ვერ გადალახა 8 სტუდენტმა და შესაბამისად, პროგრამაზე ჩაირიცხა 19 სტუდენტები.
მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, სერგო ხარიბეგაშვილმა ისაუბრა კონცეტრაციებთან დაკავშრებით და აღნიშნა, რომ ყველა კონცეტრაცია თეორიულ ცოდნასთან ერთად მოიცავდა პრაქტიკულ კომპონენტსაც. პროგრამას ჰყავდა მაგისტრანტები, რომლებიც უკვე ჩართულნი იყვნენ რუსთველის ფონდის კვლევაში.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე დაინტერესდა, იყო თუ არა კონცეტრაციები დაჯგუფებული.

მათემატიკის დეპარტამენტის უფროსმა, დავით ნატროშვილმა განმარტა, რომ საგანთა ჯგუფის ერთი მიმართულება მოიცავდა გამოყენებით მათემატიკას, მეორე წარმოადგენდა წმინდა მათემატიკურ საკითხებს, ხოლო მესამე წარმოადგენდა ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ასევე უზრუნველყოფდა სტუდენტების ჩართულობას პრაქტიკულ კომპონენტში, კერძოდ თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ კილნის უნივერსიტეტში, ინგლისში. პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა მაქსიმალურად ეხმარებოდა სტუდენტს პრაქტიკულ ნაწილში ჩართულობისთვის.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონცეტრაციების სწავლის შედეგები მოცემული იყო პროგრამაში, მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს თუ რომელი შედეგი რომელ კონცეტრაციას მიემართება. მისი მოსაზრებით, აღნიშნული საკითხი მეტად გამჭვირვალე იქნებოდა სტუდენტისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში ინგლისურის ენის მოთხოვნა არ არის გაწერილი, კერძოდ B2 დონე. სილაბუსებში მოცემული იყო საკმაოდ თანამედროვე ლიტერატურა, რაც ასევე ხელმისაწვდომი იყო ინგლისურად. მან განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია ახალი თაობა ინგლისურადაც გაეცნოს მიმდინარე მოვლენებსა და მნიშვნელოვან საკითხებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ იხელმძღვანელა უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებიდან გამომდინარე და დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამაში მოცემული იყო კონცეტრაციის სწავლების შედეგები თუმცა აღნიშნული მონაცემების ცალკე გამოყოფის აუცილებლობა არ გახდა საჭირო. სტუდენტების საუკეთესო ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ კონცეტრაციას გააჩნდა თავისი ცალკე აღმწერი, რომელიც არ იყო პროგრამის შემადგენელი ნაწილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:54
დასრულების დრო: 16:07

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.6 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაცია:
1. კონცენტრაციის შედეგები გაიმიჯნოს ცალ-ცალკე შესაბამისი სახელწოდებების მიხედვით.

რჩევები:
1. სასურველია კონცენტრაციის შესახებ ინფორმაცია ასახული იყოს კონცენტრაციის დასახელებაში;
2. სასურველია სასწავლო კუსში „პრაქტიკის კურსი მათემატიკაში“ დაემატოს შეფასების დამატებითი კრიტერიუმები და შემცირდეს შეფასების სკალირებული ქულის კოეფიციენტი, რაც შეამცირებს შეფასების ქულათა სხვაობას და სტუდენტს საშუალებას მისცემს უფრო ზუსტი და ადეკვატური შეფასება მიიღოს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას კენჭისყრის შედეგად 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეორე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკური ფილოსოფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4		-

	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	ფილოსოფია და ეთიკა, 0223
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ირინა ენუქიძის N3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-1 3კმ), თბილისი, 0159, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მაკა ლაშხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნიევრსიტეტის „პოლიტიკური

ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალების, Zoom -ის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით 2020 წლის 28 დეკემბერს, წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში გასაუბრება შედგა პროგრამაში ჩართულ მხარეებთან. მაკა ლაშხიამ მოკლე მიმოხილვა გააკეთა „პოლიტიკური ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის და აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია, სწავლების ენა - ქართული. პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგებოდა 60 კრედიტისაგან და შედგება: 1. დარგობრივი დისციპლინების მოდულისაგან (20 კრედიტი); 2. ზოგადი კომპეტენციის განმავითარებელი დისციპლინების მოდულისაგან (12 კრედიტი); 3. მეთოდოლოგიური დისციპლინების მოდულისაგან (18 კრედიტი) და 4. არჩევითი სასწავლო კომპონენტების მოდულისაგან (10 კრედიტი). პროგრამის განხორციელებას ემსახურებოდა 8 აკადემიური პერსონალი (5 უნივერსიტეტთან აფილირებული პროფესორი, ხოლო 3 მოწვეული. მოწვეულთაგან ორი უცხოელი პროფესორი). მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 8 პროფესორ-მასწავლებლებიდან 5 გააჩნდა დარგობრივი კომპეტენცია.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა -მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტზე შემუშავებულ რეკომენდაციებთან და რჩევებთან მიმართებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია გარკვეული რეკომენდაციებთან მიმართებით გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

2.1. კომპონენტთან მიმართებით
სადოქტორო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისთანავე უნდა იყოს ცხადი რომელი უცხო ენის ჩაბარება მოუწევს აპლიკანტს და რა ფორმით, შესაბამისად, პროგრამის აღწერაში მკაფიოდ გაიწეროს ევროპული ენების გამოცდის პროცედურა და ფორმატი.
2.2. კომპონენტთან მიმართებით
პროგრამას დაემატოს მეტი არჩევითი კურსი, რომელიც დოქტორანტებს საკვლევი საკითხის ინტერდისციპლინურ ჭრილში განხილვაში დაეხმარება;

დოქტორანტისთვის კვლევითი კომპონენტის შემადგენელი ვალდებულებები იმდენად ბევრია, რომ ექსპერტების აზრით, დოქტორანტებისათვის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება 6 სემესტრის განმავლობაში რთული შესარულებელი იქნება.

2.3. კომპონენტთან მიმართებით

თვალსაჩინო გახდეს რა შემთხვევაში იღებს დოქტორანტი 10 კრედიტს ბლოკ სემინარის გავლის შემდგომ (კონკრეტულად რამდენი თემის არჩევა უწევს სტუდენტს 10 კრედიტის მისაღებად);

მიზანშეწონილია მოხდეს "პრობლემური სემინარი - სადოქტორო კვლევა" და "სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკა" სილაბუსების რევიზია.

3.1. კომპონენტთან მიმართებით

უნივერსიტეტმა უნდა დახვეწოს და გაამდიდროს საბიბლიოთეკო მომსახურება და პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი წიგნადი ფონდი.

3.2. კომპონენტთან მიმართებით

პროგრამის განხორციელების პერიოდში დოქტორანტების რაოდენობის გაზრდის პროპორციულად გაიზარდოს დოქტორანტების ხელმძღვანელების რიცხვი, რაც სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრისა და დაცვის პროცედურის გამჭვირვალობის გარანტიც იქნება.

4.1. კომპონენტთან მიმართებით

გაიზარდოს პროგრამაში აფილირებული პროფესორების (დარგის სპეციალისტების) რიცხვი, რომლებიც შეძლებენ კვალიფიციური ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტობის კანდიდატებს.

4.3. კომპონენტთან მიმართებით

თვალსაჩინო და გამჭვირვალე გახდეს როგორც საერთაშორისო ბაზებზე წვდომა, ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სისტემის მართვა.

4.4. კომპონენტთან მიმართებით

საბიბლიოთეკო ფონდის განვითარებისათვის მეტი თანხების გამოყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების რექტორი, მამუკა თავხელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტება გააკეთა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მამუკა თავხელიძემ პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ პროგრამის გამოცხადებისთანავე აპლიკანტებისთვის ცხადი ხდებოდა რომელი უცხო ენის ჩაბარება მოუწევდათ და რა ფორმით, რასაც უნივერსიტეტის ყველა პროგრამასთან მიმართებით აცხადებდა საჯაროდ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის სტანდარტში მოცემული იყო მოთხოვნა უცხო ენის ცოდნის შესახებ, თუმცა არ იყო პროცედურა და კრიტერიუმები გაწერილი, რომელსაც აკრედიტაციის სტანდარტი სხვა ინდიკატორებით აზუსტებდა. მამუკა თავხელიძემ დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას უცხო ენის დაკონკრეტებასთან დაკავშირებით, თუმცა არა პროცედურულ ნაწილთან დაკავშირებით.

მამუკა თავხელიძემ მე-2 რეკომენდაციასთან მიმართებით, აღნიშნა, რომ ამისთვის დოქტორანტს გააჩნდა შემდეგი ალტერნატივა, კერძოდ, ბლოკ-სემინარი 1-ის, ბლოკ-სემინარის 2-ის ფარგლებში, თავად მოითხოვოს უნივერსიტეტის არა მარტო სასწავლო კურსის/თემის დამატება, არამედ პროფესორის მოწვევა, რომელიც წაიყვანდა ამ კურსს. ასევე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსის გავლა უცხოეთის უნივერსიტეტში. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაიაროს სასწავლო კურსი მეცნიერ-ხელმძღვანელის რეკომენდაციით, თუ იგრძნობა ცოდნის დეფიციტი რომელიმე მიმართულებით. მან დამატებით აღნიშნა, რომ ეს

საკითხი მითითებული იყო ბლოკ-სემინარის სილაბუსში. მამუკა თავხელიძემ განაცხადა, რომ პროგრამა ასევე მოიცავდა სამეცნიერო პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც გულისხმობდა უცხოეთის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრებში სტუდენტთა მივლინებას და სხვადსხვა სახის სამუშაოს შესრულებას. მათ შორის ბიბლიოთეკაში წყაროების მოძიება დამუშავებას.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მამუკა თავხელიძე, აღნიშნა, რომ ინსტიტუციისთვის გაუგებარი იყო ექსპერტთა პოზიცია, მით უმეტეს როცა საკითხი ეხებოდა სადოქტორო საგანმანათლებლო საფეხურს. ერთი მხრივ მე-2 რეკომენდაციით ექსპერტები ითხოვდნენ აქტივობების დამატებას, ხოლო მეორე მხრივ კვლევითი აქტივობების შემცირებას. დაწესებულების აზრით, სწორედ კვლევითი აქტივობები საჭიროებენ გაფართოებას, რადგან ზალცბურგის მეორე პრინციპის მიხედვით სადოქტორო სწავლება სწორედ სამეცნიერო-კვლევების საშუალებით უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა, ქართულ უნივერსიტეტებში სადოქტორო სწავლება კიდევ უფრო მეტად საჭიროებდა დახვეწას. სწორედ ამ მიზნით იყო ნაკარნახები სადოქტორო საფეხურზე არსებული კვლევითი ვალდებულებები. ინსტიტუციის აზრით სწორეს კვლევითი კომპონენტის სიმრავლე უზრუნველყოფდა სადისერტაციო ნაშრომების მაღალ აკადემიურ ხარისხს. ყველა აქტივობა სწორედ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით იყო განსაზღვრული პროგრამაში, კერძოდ: კოლოქვიუმი-1 და კოლოქვიუმი-2 მიზნად ისახავდა სტუდენტს პრაქტიკულად განეხორციელებინა კვლევა, შეესწავლა კვლევის შედეგების სტრუქტურირების უნარი სამეცნიერო სტატიისა და უცხოენოვანი სამეცნიერო მოხსენების ფორმატით, რაც აუცილებელი იყო ამავე დროს სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარის გასავითარებლად. კოლოქვიუმის ფარგლებში ჩამოყალიბებული უნარის საფუძველზე დამოუკიდებლად შეძლოს სამეცნიერო სტატიისა და უცხოენოვანი სამეცნიერო მოხსენების მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის პარტნიორ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალსა თუ სამეცნიერო ფორუმზე, ან სტუდენტის მიერ შერჩეულ ანალოგიურ გამოცემებში; სამეცნიერო პრაქტიკა ან სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, რომელიც სწორედ სწავლის შედეგების რეალიზებას ემსახურებოდა და კვლევითი უნარების განვითარებასთან ერთად, ხელს უწყობდა უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებას საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან. დაწესებულების პოზიციას ამყარებდა ზალცბურგის პირველი პრინციპი, რომელიც აცხადებდა, რომ სადოქტორო განათლების მიზანს წარმოადგენდა, კვლევითი აზროვნების კულტივირება, აზროვნების მოქნილობის, კრეატიულობისა და ინტელექტუალური ავტონომიის განვითარება ორიგინალური, კონკრეტული კვლევითი პროექტის საშუალებით. სწორედ კვლევის პრაქტიკა აყალიბებდა ამ ტიპის აზროვნებას.

მამუკა თავხელიძემ მე-4 რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ბლოკ-სემინარი მოიცავდა 10 კრედიტს, შესაბამისად ერთი თემა განისაზღვრებოდა 10 კრედიტით, ამიტომ არ იყო დაკონკრეტებული თემების რაოდენობა. ამ შემთხვევაში ბლოკ-სემინარი დაკარგავდა თავის ფუქნციას და იქცეოდა ჩვეულებრივ სალექციო კურსად.

მან მე-5 რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტა, რომ 2012 წლამდე, სადოქტორო პროგრამაზე სწორედ ერთი დისციპლინა ისწავლებოდა, მაგრამ 2012 წლის აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციით ეს დისციპლინა ამ სახით იქნა გაყოფილი.

მამუკა თავხელიძემ მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წიგნადი ფონდი სისტემატურად ვითარდებოდა და მდიდრდებოდა, თუმცა სადოქტორო კვლევებისთვის არარეალური იყო ყველა წიგნის გათვალისწინება. ამის საკონპენსაციოდ, უნივერსიტეტს გააჩნდა სხვადსხვა მონაცემთა ბაზები და ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობის

ეფექტიანი პრაქტიკა - სტუდენტის შეკვეთით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის აბონენტი, იწერდა შეკვეთილ ლიტერატურას და აწვდიდა დოქტორანტს გარკვეული დროით.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, დოქტორანტურის დებულების მე-19 მუხლის მიხედვით, მეცნიერ-ხელმძღვანელს შესაძლებლობა ჰქონდა ეხელმძღვანელა არ აუმეტეს 5 დოქტორანტისა. თუ პროგრამის ფარგლებში იქნებოდა 5 დოქტორანტი, შესაბამისად დაემატებოდა ხელმძღვანელებიც. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის კუთხით დაწესებულებას ჰქონდა საკმარისი რესურსი.

მამუკა თავხელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მე-10 რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე ჯიშკარიანმა მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ 2.2 კომპონენტთან მიმართებით, დასკვნაში მოცემული იყო შემდეგი რჩევა, პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში მოვიდეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან და შესაბამისად მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ექსპერტებმა გამოყვეს ორი მსგავსი ურთიერთგადამფარავი კურსი. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა, ამ ორი კურსის რევიზიის შემდეგ, ჯამმა რამდენი კრედიტი უნდა შეადგინოს. გარდა ამისა საბჭოს წევრმა გამოყო თანხების გაზრდის საკითხი და მოუწოდა ექსპერტებს უფრო დეტალური განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ ზალცბურგის პირველი პრინციპით ცალსახად გაწერილია, რომ სადოქტორო კვლევამ უნდა გაითვალისწინოს შრომის ბაზრის მოთხოვნები. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა საერთოდ არ პასუხობდა შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ შინაარსობრივად, მე-6 და მე-10 რეკომენდაცია პრაქტიკულად ერთი და იგივე იყო. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამა კრედიტების რაოდენობის კუთხით სრულად შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა მატრიცაში ცალკე მოცემულ სასწავლო გეგმაში დისერტაციის მომზადებას ენიჭებოდა 120 კრედიტი, რაც არ იყო კანონთან შესაბამისობაში. გარდა ამისა, მოცემული იყო ისეთი მეთოდოლოგიური დისციპლინები, რომლებშიც სტუდენტებს ასევე ენიჭებოდათ კრედიტები. საბჭოს წევრმა ასევე გამოყო სამეცნიერო მოდული, სადაც, ჩამოთვლილი იყო 6 პუნქტი რაც უნდა შეესრულებინა დოქტორანს. ორი კოლოქვიუმი გულისხმობდა ორი სამეცნიერო ნაშრომის გაკეთებას, ამის გარდა გათვალისწინებული იყო ქართულ ენაზე მოხსენების გაკეთება, ორი უცხოურ ენაზე თეზისი, გარდა ამისა საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლა. ექვსივე პუნქტი პრაქტიკულად გულისხმობდა ერთსა და იმავეს, განსხვავება იყო ჟურნალის ხარისხში. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა ერთი ჟურნალის მითითება, რომელიც მნიშვნელოვანი იყო დარგისთვის.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დააზუსტა, თუ სტუდენტმა სამ წელიწადში ვერ შეასრულა პროგრამაში გაწერილი 6 პუნქტიანი მოთხოვნა, რა მექანიზმი არსებობდა ასეთ დოქტორანტებთან მიმართებით. რაც შეეხება ხელმღვანელის საკითხს, პროგრამის მიხედვით მხოლოდ ორი პირი იყო დასახელებული, შესაბამისად საინტერესო იყო თუ როგორ ხდებოდა

ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ორგანიზება. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა იყო თუ არა პროგრამის ფარგლებში დაცული დისერტაციები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება იყო პოლიტიკური ფილოსოფია, პროგრამის დარგი/სპეციალობა იყო ჰუმანიტარული მეცნიერებები, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო ფილოსოფიის დოქტორი. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენად მისაღები იყო პროგრამის სათაური, რადგან მოცემული არ უნდა იყოს აპლიკანტისთვის დამაბნეველი.

საბჭოს წევრმა ნინო ჭალაგანიძემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევა ტარდებოდა კონკრეტული პროგრამისთვის და მოუწოდა ინსტიტუციის წარმომადგენლებს მოცემული საკითხის დეტალურად განმარტებისკენ. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა წარმოდგენილი იყო სულ 5 პიროვნებით, პროგრამის განმახორციელებლებით, შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში სახეზე იყო აფელირებული პროფესორების დეფიციტი.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში 1.1 სტანდარტთან მიმართებაში, მოცემული იყო რომ გართულდა შეფასება, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ ასევე დააზუსტა იყო თუ არა ამ ეტაპზე საკმარისი აკადემიური პერსონალი იმ რაოდენობის სტუდენტებისთვის რა რაოდენობის მიღებასაც გეგმავდა დაწესებულება. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა პროფესორის ასისტენტის საკითხი, კერძოდ აღნიშნული წარმოადგენდა არჩევით კურსს, რომელიც მოიცავდა 10 კრედიტს. აქედან გამომდინარე, პროგრამის მიხედვით შესაძლებელია სტუდენტმა აირჩიოს სხვა პრაქტიკული კურსები და არ აირჩიოს აღნიშნული. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, შეექმნებოდა თუ არა სტუდენტს სწავლის შედეგებთან მიმართებით პრობლემა თუ არ ექნება გავლილი პროფესორის ასისტენტობა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაინტერესდა თუ როგორ აღწევენ დოქტორანტების სწავლების შედეგებს და პროცენტულად რამდენ დოქტორანტს აქვს ამის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა ყურადღება გაამახვილა ,,მენეჯმენტის პარადიგმების“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით და დააზუსტა თუ რა გახდა მოცემული სასწავლო კურსის პროგრამაში შემოტანის მიზანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა გუნდს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ლაშხიამ აღნიშნა, რომ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა იკვეთებოდა იმაში, რომ პროგრამის მიხედვით კვლევითი კომპონენტისთვის განსაზღვრული იყო 120 კრედიტი, მაშინ როცა პროგრამა ფასდებოდა სასწავლო კომპონენტის კრედიტების მიხედვით.

რაც შეეხება ბიბლიოთეკას, განსაზღვრული თანხა იყო საკმაოდ მწირი. ფილოსოფიური ლიტერატურა იყო საკმაოდ ძვირი, შესაბამისად, თავად პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა გადაწყვიტოს რა თანხა უნდა იყოს გამოყოფილი. აღნიშნული თანხა საჭიროებს 100%-200% გაზრდას.

მაკა ლაშხიამ განმარტება გააკეტა მეთოდოლოგიური კუთხით წარმოდგენილი სილაბუსების საკითხთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ერთ სილაბუსს წარმოადგენდა ,,დისერტაციის არქიტექტონიკა", ხოლო მეორეს, ,,სადოქტორო კვლევა, პრობლემური სემინარი". სილაბუსებში წარმოდგენელი იყო ბევრი მეთოდოლოგიური სახის თემატიკა, თუმცა აკადემიური წერისთვის განსაზღვრულ ნაწილში წარმოდგენილი ლიტერატურა იყო ცალსახად საბაკალავრო დონის. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები, რომლებიც ასევე მეორე სილაბუსშიც მეორდებოდა, თავისუფლად შეიძლება განხილული იყოს იმგვარად, რომ არ იყოს გამოყენებული საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის საკითხები და ლიტერატურა. პროგრამა იყო 60 კრედიტიანი, ხოლო აქედან 18 კრედიტი ეკუთვნოდა მეთოდოლოგიურ ბლოკს, საიდანაც 8 კრედიტი იყო ზედმეტი. უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიური კურსი არის მონაცვლეობითი, ხან ფილოსოფიური საკითხებია განხილული ხან კი პოლიტიკის.

რაც შეეხება მსგავსებას მე-6 და მე-10 რეკომენდაციებს შორის, აღნიშნულ შემთხვევაში საუბარი იყო იმაზე, რომ ბაზებთან წვდომასთან დაკავშირებით იყო გარკვეული პრობლემები. ერთი მხრივ მნიშვნელოვანია ისეთი ბაზები ჰქონდეს უნივერსიტეტს, რომლებითაც სარგებლობა სახლიდანაც იქნებოდა შესაძლებელი და მეორე მხრივ მნიშვნელოვანია ბეჭდური ფონდის არსებობაც.

მნიშვნელოვანია ასევე დისერტაციების ნაწილი, ექსპერტთა მიერ შემოწმებული ნაშრომები შესრულებული იყო საკმაოდ მაღალ სამეცნიერო დონეზე, შესაბამისად ნაშრომების მიმართ არ არსებობდა არანაირი ეჭვი.

აღსანიშნავია, ასევე რომ პროგრამის სახელწოდება არ წარმოადგენდა პრობლემას, რადგან უმთავრესია პროგრამა შესაბამისობაში მოდიოდეს საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. ფილოსოფიას ჰქონდა საკმაოდ ბევრი მიმართულება, მათ შორის იყო პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულება.

რაც შეეხებოდა კვლევით კომპონენტს, ექსპერტთა აზრით აღნიშნული საკმაოდ მრავლად იყო მოცემული პროგრამის ფარგლებში. ბლოკ-სემინარში საკმაოდ კარგად იყო გაწერილი თემები, რომლიდანაც სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასურველი და ისწავლოს ხელმძღვანელთან ერთად და მიიღოს საბოლოო ჯამში 10 კრედიტი. მაკა ლაშხიამ აღნიშნა, რომ საყურადღებო იყო, რომ იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი ირჩევდა ერთ თემას, მას ენიჭებოდა 10 კრედიტი, ასევე 10 კრედიტი ენიჭებოდა სტუდენტს რომელიც მაგალითად აიღებდა სამ თემას და ჰქონდა მეტი დატვირთვა. შესაბამისად, აღნიშნული მიდგომა არაპროპორციული იყო. კვლევითი კომპონენტი საკამოდ მრავალრიცხოვან აქტივობებს მოიცავდა. ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სტატიების გამოქვეყნება საჭიროებდა დიდი ხნის ლოდინს. აქედან გამომდინარე ყოველ სემესტრში დოქტორანტს უწევდა გარკვეული აქტივობის შესრულება, თუმცა როდის წერდა იგი დისერტაციას, აღნიშნული არსად არ იყოს მოცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა, მამუკა თავხელიძემ ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უკვე მიღო ზომები რათა გამოასწოროს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ხარვეზები. დაწესებულებას ჰყავდა დამსაქმებელთა კომიტეტი, რომელიც ახდენდა იმის კომპენსირებას რაც ვერ იქნა გამოკვლეული შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე. რაც შეეხება მენეჯმენტის სასწავლო კურსს,

გათვალისწინებული იყო სწორედ იმიტომ, რომ დოქტორანტებს გამოუმუშავდეთ ხელმძღვანელობის უნარები და ჩამოუყალიბდეთ ცოდნა არა მარტო მენეჯმენტის, არამედ კვლევითი კომპონენტების შესახებ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინა ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში განხილული იყო საკმაოდ ზოგადი საკითხები, რომელიც დიქტორანტურის საფეხურისთვის არ იყო შესაბამისი.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე ასევე შეეხო მენეჯმენტის სასწავლო კურსის საკითხს და აღნიშნა, რომ პირველი საკითხი მოცემული იყო საბაკალავრო დონის. აქედან გამომდინარე რამდენად იყო შესაძლებელი მსგავსი სახელმძღვანელოებით სწავლის შედეგებზე გასვლა. აღნიშნულ შემთხვევაში უმჯობესი იყო ერთი მიმართულების არჩევა და დოქტორანტისთვის შესაბამისი სახელმძღვანელოს განსაზღვრა.

დაწესებულების რექტორმა, მამუკა თავხელიძემ კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კოლოქვიუმი-1 და კოლოქვიუმი-2 მიზნად ისახავდა სტუდენტს პრაქტიკულად განეხორციელებინა კვლევა, შეესწავლა კვლევის შედეგების სტრუქტურირების უნარი სამეცნიერო სტატიისა და უცხოენოვანი სამეცნიერო მოხსენების ფორმატით, რაც აუცილებელი იყო ამავე დროს სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარის გასავითარებლად. მნიშვნელოვანი იყო ასევე, სამეცნიერო პრაქტიკა ან სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, რომელიც სწორედ სწავლის შედეგების რეალიზებას ემსახურებოდა და კვლევითი უნარების განვითარებასთან ერთად, ხელს უწყობდა უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებას საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან. დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობდა განუვითაროს დოქტორანტს კვლევითი უნარები, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, შესაბამისად ის მეთოდები რაც გამოიყენებოდა პროგრამის ფარგლებში იყო აუცილებელი აღნიშნული მიზნის მისაღწევად. დაწესებულება არ თვლიდა, რომ რომელიმე კომპონენტი საჭიროებდა პროგრამიდან ამოღებას, თუმცა თუ ექსპერტებს აქვთ კონკრეტული მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულება შეეცდებოდა რეკომენდაციების გათვალისწინებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ დოქტორანტურის დებულების მიხედვით, თუ სტუდენტი 3 წელიწადში ვერ ამთავრებს პროგრამას, მას 5 წლის განმავლობაში შეუძლია პროგრამის დასრულება.

რაც შეეხება მეცნიერ-ხელმძღვანელის საკითხს, დოქტორანტურის დებულების მიხედვით, ერთ ხელმძღვანელს შეიძლება ჰყავდეს არა უმეტეს 5 დოქტორანტისა. შესაბამისად, ამ ეტაპზე აღნიშნული საკმარისი იყო, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, მოხდებოდა აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

მნიშვნელოვანია ასევე პროფესორის ასისტენტობა, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ასევე აღნიშნულის ალტერნატივა, კერძოდ პედაგოგიკა, რომელიც განსაზღვრული იყო ყველა სადოქტორო პროგრამაზე. მოცემული კურსის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა საცდელი ლექციების ჩატარება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:50
დასრულების დრო: 18:30

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.1 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.1 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.4 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ამოღებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. პროგრამას დაემატოს მეტი არჩევითი კურსი, რომელიც დოქტორანტებს საკვლევი საკითხის ინტერდისციპლინურ ჭრილში განხილვაში დაეხმარება;
2. დოქტორანტისთვის კვლევითი კომპონენტის შემადგენელი ვალდებულებები იმდენად ბევრია, რომ ექსპერტების აზრით, დოქტორანტებისათვის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება სემესტრის განმავლობაში რთული შესარულებელი იქნება;
3. თვალსაჩინო და გამჭვირვალე გახდეს როგორც საერთაშორისო ბაზებზე წვდომა, ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სისტემის მართვა

რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. სასურველია ნათლად გაიწეროს, რამდენი თემის არჩევა მოუწევს სტუდენტს ბლოკ სემინარების შემთხვევაში;
2. პროგრამის განხორციელების პერიოდში დოქტორანტების რაოდენობის გაზრდის პროპორციულად გაიზარდოს დოქტორანტების ხელმძღვანელების რიცხვი, რაც სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრისა და დაცვის პროცედურის გამჭვირვალობის გარანტიც იქნება;
3. გაიზარდოს პროგრამაში აფილირებული პროფესორების (დარგის სპეციალისტების) რიცხვი, რომლებიც შეძლებენ კვალიფიციური ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტობის კანდიდატებს.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:
1. ჩატარდეს შრომის ბაზრის პროგრამული კვლევა;
2. დაკონკრეტდეს სადოქტორო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისთანავე, რომელი უცხო ენის ჩაბარება მოუწევს აპლიკანტს;
3. სასწავლო კურსი „მენეჯმენტის პარადიგმები“ დაზუსტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში სადოქტორო დონესთან;

4. დაიხვეწოს საბიბლიოთეკო მომსახურება, პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი წიგნადი ფონდი და საერთაშორისო ბაზებზე წვდომა;

რჩევები:
1. დაზუსტდეს მიღების წინაპირობებში სამაგისტრო ხარისხისის სფეროები, რომელიც მომიჯნავეა პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამისათვის;
2. სასურველია დაზუსტდეს და გასწორდეს პროგრამის სტრუქტურის ტექნიკური ხარვეზი;
3. სასურველია ნათლად გაიწეროს, რამდენი თემის არჩევა მოუწევს სტუდენტს ბლოკ სემინარების შემთხვევაში;
4. პროგრამის განხორციელების პერიოდში დოქტორანტების რაოდენობის გაზრდის პროპორციულად გაიზარდოს დოქტორანტების ხელმძღვანელების რიცხვი, რაც სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრისა და დაცვის პროცედურის გამჭვირვალობის გარანტიც იქნება;
5. გაიზარდოს პროგრამაში აფილირებული პროფესორების (დარგის სპეციალისტების) რიცხვი, რომლებიც შეძლებენ კვალიფიციური ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტობის კანდიდატებს;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-31 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას კენჭისყრის შედეგად 18 ხმით არცერთის წინააღმდეგ, 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

მესამე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	

		საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	პროგრამა აკრედიტებულია 31.07.2020, №652937 გადაწყვეტილებით.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტი საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	მენეჯმენტი და ადმინისტრირება, 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ქეთევან დედოფლის გამზირი 16, 0103 საქართველო, ქ.თბილისი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ნიკა თიკანაშვილმა მესამე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულების მიერ შესასრულებელი რეკომენდაციები:
1. დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს მექანიზმი, რომელშიც განისაზღვრება სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების ფაქტობრივად მიღწეული შედეგების, არაპირდაპირ შეფასებაში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების მონიტორინგისა და სამიზნე ნიშნულებთან დადარების მეთოდები;
2. მკაფიოდ გაიმიჯნოს სასწავლო კურსების (სტრატეგიული მარკეტინგი, აკადემიური წერა) სწავლის შედეგები, შინაარსი და ძირითადი ლიტერატურა ბაკალავრიატის საფეხურის მსგავსი სასწავლო კურსებისგან და მოერგოს სამაგისტრო საფეხურს;
3. მდგრადი ხასიათი შეიძინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის დაცვის, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდისა და დენადობის მაჩვენებლის შემცირებისკენ მიმართულმა აქტივობებმა, რომლებიც განსაზღვულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით და რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას;
4. დაწესებულებამ შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური უწყვეტი პროფესიული განვითარების და მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვას. ასევე, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ იზრუნოს მოწვეული პერსონალის აკადემიური უნარების უწყვეტ განვითარებაზე, თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვაზე და დაწესებულების საქმიანობაში მათი მეტად ჩართვასა და მოტივაციის გაზრდაზე;
5. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შემუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმა.

რეკომენდაციების შესრულების მიმოხილვა:

ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში შემუშავდა და 27.12.2019წ. დამტკიცდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი რომლის მიხედვითაც ხორციელდებოდა სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით (სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები) რომლის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული იყო რომ სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესზე ან რეგრესზე დაკვირვების მიზნით ხორციელდებოდა მონიტორინგის შედეგების შედარება სამიზნე ნიშნულებთან და იგებოდა გრაფიკი თვალსაჩინოებისათვის. პედაგოგებთან კონსულტაციების შემდეგ, ორივე საგანში განახლდა სილაბუსები. სტრატეგიულ მარკეტინგში შეიცვალა სასწავლო კურსის მიზანი და მთლიანად სასწავლო პროგრამის შინაარსიც, ყველა თავი და მასში შემავალი კომპონენტი; აკადემიურ წერაში თითოეულ თემაში ჩაიშალა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც აუცილებელი იყო სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის.

ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, რომლის მე-7 მუხლის მიხედვითაც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2 წელიწადში ერთხელ, თანამშრომელთა შორის ატარებდა კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე, სხვა დანარჩენ კრიტიკულ ინფორმაციასთან ერთად ვლინდებოდა თანამშრომელთა ხედვა თუ რა კუთხით იყო საჭირო უნივერსიტეტის

საქმიანობისა და გარემოს/სივრცეების ცვლილება. კვლევის შედეგების შესაბამისი ცვლილებები დადებითად აისახებოდა თანამშრომელთა კმაყოფილებასა და შედეგიანობაზე და უღრმავებდა მათ უნივერსიტეტის საქმიანობის განვითარებაში წვლილის შეტანის შეგრძნებას. 2020 წლის თებერვლიდან 2020 წლის ბოლომდე მიღებული იყო 10 და წასული იყო 4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელი იყო, რომ, უნივერსიტეტმა მოიწვია 8 ახალი ინგლისურენოვანი პედაგოგი, მათგან 1 უცხოელი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ახალი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში.

ეკა ლეკაშვილმა განმარტება გააკეთა სწავლების რესურებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა პერსონალის მართვის პოლიტიკა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომლითაც ხელმძღვანელობდა აღნიშული რეკომენდაციის თემატიკის შესაბამისი საქმიანობის წარმართვისას.

მნიშვნელოვანია ასევე სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები, კერძოდ, რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროგრამების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცდა მმართველი საბჭოს მიერ. მულტიკულტურული მენეჯმენტის აქტუალობის გათვალისწინება მოხდა სასწავლო კურსში ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა. საჰაერო ტრანსპორტის მართვის და ზოგადად მენეჯმენტის დარგის სპეციფიკების გათვალისწინებით პროგრამაზე დაშვება ეძლეოდათ სტუდენტებს, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კვალიფიკაციის შესაბამისი/მონათესავე ბაკალავრის ან მაგისტრის კვალიფიკაცია. ამასთან, პროგრამა დაშვების წინაპირობად ითვალისწინებდა სასპეციალიზაციო გამოცდების ჩაბარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, გიორგი ევგენიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია მისაღები იყო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის, რადგან აღნიშნული რეკომენდაციები მიმართული იყო პროგრამის განვითარებისკენ.

გიორგი ევგენიძე პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ანგარიშის წარმოდგენის დროს პირველი სემესტრი არ იყო დამთავრებული, შესაბამისად, დაწესებულებას არ ჰქონდა შედეგები, რის საფუძველზეც შეეძლო გამოეკითხა კურსდამთავრებულები. პროგრამას კურსადმთავრებული ეყოლება ზაფხულში. აღნიშნული აუცილებლად იქნება ასახული და წარმოდგენილი პროგრამის სამწლიან ანგარიშში.

რაც შეეხება აკადემიური შედეგების ასახვას, აღნიშნული შეუძლებელი გახდა ძველი პროგრამის აკადემიური შედეგების მიხედვით, რადგანაც პროგრამის სწავლის შედეგებსა და მიზნებს ასევე სილაბუსებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობა იყო.

გიორგი ევგენიძემ აღნიშნა, რომ პერსონალის ზრდა იყო დადებითი. ამჟამად, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობდა 25 სტუდენტი და ჯამში წარმოდგენილი იყო 19 პერსონალი, 6 აკადემიური და 13 მოწვეული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტს, ის რეკომენდაციები რომლებიც მეტწილად იყო დაწესებულების მიერ შესრულებული ახდენდნენ თუ არა გავლენას სწავლის შედეგებზე.
ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა განმარტა, რომ არ არსებობდა არანაირი ხელისშემშლელი ფაქტორი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:47
დასრულების დრო: 18:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

მეოთხე საკითხი: შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ”საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	პროგრამა აკრედიტებულია 07.08.2020, №716128 გადაწყვეტილებით.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	მენეჯმენტი და ადმინისტრირება, 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კალისტრატე ქუთათელაძის ქ. #3. თბილისი, 0186 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ეკატერინე ნაცვლიშვილმა მეოთხე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ნინო დოლიძემ საბჭოს წევრებს გააცნო შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, ეკონომიკური ბლოკის გასაძლიერებლად სავალდებულო სტატუსით ეკონომიკური კომპონენტის კურსების დამატება, რომლებიც, შესაბამისად, განისაზღვრება, როგორც წინაპირობა ისეთი კურსებისათვის, როგორიცაა საჯარო ფინანსები.
2. კურსისათვის „სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა“, სავალდებლო სტატუსისმინიჭება;
3. კურსების „საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები“ და „ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“ წინაპირობად „საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის“ კურსის განსაზღვრა;

4. კონკრეტული კურსების ფარგლებში ძირითადი ლიტერატურის განახლება და ინგლისურენოვანი წყაროების დამატება. კერძოდ კურსში „საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა“;
5. პრაქტიკის ალტერნატიული კურსის - მაგალითად, სოციალური პროექტის ან სხვა აქტივობის შეთავაზება;
6. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას უფრო მეტი სწავლის შედეგის მიღწევის უზრუვნელყოფა, ვიდრე ეს განსაზღვრულია სილაბუსსა და სწავლის შედეგების რუკაში. კერძოდ A, B და D;
7. სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში“ სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთება და ფინალური თეორიული გამოცდის ჩანაცვლება დამოუკიდებელი კვლევითი ნაშრომით, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისათვის სილაბუსში უკვე არსებული სიტუაციური ამოცანების, წერითი დავალებისა და შუალედური გამოცდის გამოყენებ

რეკომენდაციების შესრულების მიმოხილვა:

ექსპერტმა, ნინო დოლიძემ აღნიშნა, რომ უმაღლესი საგამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. სასწავლო უნივერსიტეტმა დაშვებულ პერიოდში, 08.02.2021, წარმოადგინა ანგარიში, რომლის მიხედვითაც განხორციელდა შემდეგი: რეკომენდაციების შესრულების მიზნით ჩატარდა სამართლის ფაკულტეტის საბჭო დეკანის ხელმძღვანელობით, პროგრამის სამუშაო ჯგუფისა და სხვა ჩართული პირების, მათ შორის, პროგრამაში მონაწილე აფილირებული პროფესორებისა და პედაგოგების და სტუდენტების, მონაწილეობით. ფაკულტეტის საბჭომ განიხილა წარმოდგენილი რეკომენდაციები და შეიმუშავა შესაბამისი ცვლილებები ცალკეულ სასწავლო კურსებთან მიმართებით. მიღებული გადაწყვეტილება წარედგინა და დამტკიცდა უსდ-ს აკადემიური საბჭოს მიერ. შედეგად, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განახორციელა შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში, მათ შორის, სასწავლო კურსების მოდიფიცირება, სტატუსის ხელახალი განსაზღვრა, ლიტერატურის გამდიდრება და სხვა, გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

ნინო დოლიძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ პირველი რეკომენდაცია შესრულებული იყო. კერძოდ: შემუშავადა 6-კრედიტიანი კურსი „ეკონომიქსი“, სავალდებულო სტატუსით. კურსი გამიზნული იყო იმ სტუდენტებისათვის, ვისაც არ გააჩნდა სპეციფიკური ცოდნა ეკონომიკის სფეროში და ასევე, გაუღრმავებდა და განუახლებდა თეორიულ ცოდნას იმ სტუდენტებს, ვისაც ეკონომიკური კურსები გავლილი ჰქონდა საბაკალავრო საფეხურზე. კურსი განისაზღვრა „საჯარო ფინანსების მართვის“ კურსის წინაპირობად. დამატებით, სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, განახლდა და თემატურად გამდიდრდა „საჯარო ფინანსების მართვის“ სილაბუსი.

ნინო დოლიძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ მეორე რეკომენდაცია შესრულებული იყო. კერძოდ: პროგრამის სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, კურსს „სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა“ მიენიჭა სავალდებულო საგნის სტატუსი.

მესამე რეკომენდაცია შესრულებული იყო. კერძოდ, კურსების „საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები“ და „ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“ წინაპირობად განისაზღვრა „საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის“ კურსი. ცვლილებები აისახა შესაბამის სილაბუსებში და პროგრამაში.

მეოთხე რეკომენდაცია შესრულებული იყო. კერძოდ, კურსში „საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა“ დამატებული იყო ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში ინგლისურენოვანი წყაროები.

მეხუთე რეკომენდაცია ასევე შესრულებული იყო დაწესებულების მიერ. პრაქტიკულ კომპონენტში გათვალისწინებული იყო პრაქტიკული კლინიკა და საჯარო მმართველობის პრაქტიკა, როგორც ურთიერთალტერნატიული შესაძლებლობები, არჩევითი სტატუსით. ორივე აქტივობის წინაპირობად განსაზღვრული იყო პროგრამის ძირითადი კურსები. შემუშავებული იყო „საჯარო მმართველობის პრაქტიკის“ სილაბუსი.

ასევე შესრულებული იყო მე-6 რეკომენდაცია. შესაბამისი ცვლილებები ასახული იყო პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკაში.

მეშვიდე რეკომენდაციასთან მიმართებით ნინო დოლიძემ აღნიშნა, რომ ასევე შესრულებული იყო დაწესებულების მიერ. კერძოდ, კურსში „კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში“ შუალედური შეფასების კომპონენტად დამატებული იყო კვლევითი შეთავაზების შემუშავება, დეტალური აღწერილობით და შეფასების კრიტერიუმებით, ასევე, კითხვარის შემუშავება სასემინარო სამუშაოს სახით; ხოლო დასკვნითი წერითი გამოცდა მოიცავდა კვლევის პროექტის შემუშავებას და კომპლექსურ ამოცანას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების ვიცე-რექტორი, დიმიტრი გეგენავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და საბჭოს რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებს პროგრამა განსაზღვრული ჰქონდათ როგორც ინტერდისციპლინარული და მოუწოდა მათ აღნიშნულის განმარტებისკენ.

ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული ტერმინი არა კლასიფიკატორის, არამედ შინაარსის მიხედვით განისაზღვრა.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ ეკონომიქსში არ იყო გამოყენებული გრეგორი მენქიუს სახელმძღვანელო.

დაწესებულების ვიცე-რექტორმა, დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე ფართოდ ისწავლებოდა გრეგორი მენქიუს სახელმძღვანელოს საშუალებით, შესაბამისად თემატიკისა და შინაარსის განმეორების თავიდან აცილების მიზნით სახელმძღვანელოები შეირჩა ისე, რომ მორგებადი ყოფილიყო როგორც მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის, ასევე შინაარსობრივად არ ყოფილიყო გადაფარვა ბაკალავრის პროგრამასთან მიმართებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:05
დასრულების დრო: 19:08

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხდომა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 02 აპრილს 19:10 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ